საქართველოს ბანკი

№ OC252271

"13" მარტი 2025

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკის
პრობლემური კორპორაციული, მცირე და საშუალო სესხების მართვის
დეპარტამენტის დირექტორის
კახა კენკიშვილის

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869) (შემდგომში - ბანკი) როგორც იპოთეკარი თანახმაა, უძრავი ნივთებზე მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა, (ს/კ: №01.81.02.348.024, №01.81.02.348.023 და №01.81.02.348.025) (შემდგომში - **იპოთეკის საგნები**), სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, იმ პირობით, რომ ცვლილების შედეგად მიღებული **იპოთეკის საგნების** ჯამური ფართობი არ უნდა იყოს დღევანდელი მდგომარეობით რეგისტრირებულ ოდენობაზე ნაკლები. ამასთან, ბანკის იპოთეკის უფლება უნდა გავრცელდეს ცვლილების შედეგად წარმოშობილ/რეგისტრირებულ ყველა ფართზე/ფართობზე.

პატივისცემით

კახა კენკიშვილი კახა კენკიშვილი

სს „საქართველოს ბანკი“
ს/ნ 204378869
გაგარინის ქ. №29ა
თბილისი 0160, საქართველო
(032) 2 444 444
www.bankofgeorgia.ge

რწმუნებულება

სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) წარმომადგენელი **დავით ჭყონია** (ბრიტანეთის მოქალაქე,დაბადებული 10.05.1978, პასპორტი 136224764, გაცემის თარიღი 29.11.22 შემდგომში - მარწმუნებელი) (რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის - არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 10.12.2024, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 241630006, ინდივიდუალური ნომერი: 12594773912524), **კახა კენკიშვილს** (პირადი ნომერი: 20001011079), შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს ნასყიდობისა და ბანკის მიერ უძრავ/მოძრავი ქონების დასაკუთრებასთან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
2. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ საკრედიტო, იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის, ცესიის/მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებებს და აგრეთვე ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს);
3. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად დაგირავებული ავტომანქანა გადასცეს მესამე პირს, აგრეთვე ხელი მოაწეროს დაგირავებულ ავტომანქანებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას და შესაბამის დოკუმენტებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, შეთანხმებებს და ფორმებს;
4. დაგირავებული ავტომანქანის რეალიზაციასთან დაკავშირებით განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და მათ შორის ნოტარიუსთან, სააღსრულებო ბიუროსთან და კერძო აღმასრულებელთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან;
5. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;
6. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სანოტარო ბიუროში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის წერილობით დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს/ინვოის(ებ)ს/კითხვარებს (მათ შორის და არა მხოლოდ წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მის მიღებასთან დაკავშირებით);
7. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი/ დოკუმენტაცია;
8. წარმოადგინოს და დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოებში/არბიტრაჟში/ადმინისტრაციულ წარმოებაში, შეასრულოს ყველა სახის მოქმედება (მათ შორის, საპროცესო მოქმედება), აღძრას სარჩელი/შეიტანოს საჩივარი, თქვას უარი სასარჩელო მოთხოვნაზე/საჩივარზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი/საჩივარი, შეცვალოს სარჩელის/საჩივრის საგანი ან/და საფუძველი, დაასრულოს საქმე/ადმინისტრაციული წარმოება მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს/არბიტრაჟის/ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები/განჩინებები, მიიღოს ან/და წარადგინოს გადასახდევინებლად სააღსრულებო ფურცელი, გამოიხმოს სასარჩელო მოთხოვნა/საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიტანოს საჩივარი ან/და კერძო საჩივარი, წარადგინოს საჩივარი/შესაგებელი/შეგებებული სარჩელი, გაეცნოს საქმის

დავით ჭყონია

მასალებს ან/და გადაიღოს/მიიღოს საქმის მასალების ასლები, აგრეთვე განახორციელოს ყველა სხვა საჭირო ქმედებები (მათ შორის პროცესუალური ქმედებები).

9. წარმოადგინოს მარწმუნებელი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში და სანოტარო ბიუროში (მათ შორის და არა მხოლოდ, წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მიღებასთან დაკავშირებით, ჩააბაროს შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება, ჩაიბაროს ნებისმიერი დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის სამკვიდრო საქმისწარმოებასთან ან/და მარწმუნებელსა და მესამე პირს შორის დადებულ იპოთეკის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და ხელი მოაწეროს შესაბამის სანოტარო აქტებს).
10. ნებისმიერ დაწესებულებასთან, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს (კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ს/ ხელშეკრულებას(ებს) /შეთანხმებას(ებს)/ გარიგებას(ებს), მათ შორის და არა მხოლოდ:
    10.1 თანხმობებს ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებულ იპოთეკის საგნებზე რეკონსტურქციასთან, რემონტთან, მიშენებასთან, დაშენებასთან, ფართის ცვლილებასთან, გამიჯვნასთან, ფართის დაზუსტებასთან, გასხვისებასთან, პროექტში ცვლილებების შეტანა, რეგისტრაციის მისამართზე პირის ჩაწერასთან დაკავშირებით.
    10.2 ბანკის საკუთრებაში არსებული ქონებების იჯარის და გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ) შესახებ დოკუმენტ(ებ)ს/ხელშეკრულებას(ებს) /შეთანხმებას(ებს)/ გარიგებას(ებს).
11. წინამდებარე რწმუნებულების გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს/განცხადებას;

რწმუნებულება გაცემულია 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია გადაწდობის უფლებამოსილებით.

მარწმუნებელი

დავით ჯყონია დავით ჯყონია